

„მთვარესა მცხრალსა“

სამყაროში განფენილი მშვენიერება ყველგან და ყველაფერში შეიძლება აღმოვაჩინოთ. შოთა რუსთაველის სულიერი სამყარო მომზიბლავს და მშვენიერია, რომელშიც უმთავრესი ადგილი ადამიანს აქვს მიკუთვნებული, ხილულ სამყაროში იგი ესთეტიკური იერარქიის უმაღლესი საფეხურია. აქედან გამომდინარე, „ვეფხისტყაოსანში“ სწორედ ადამიანის მიერ აღქმული სამყაროა ჩვენთვის საინტერესო, ვინაიდან ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს ბოლომდე შეცნობა ადამიანის გონებას არ ძალუძს და, შესაბამისად, ღმერთის შემოქმედების ესთეტიკური ფენომენის აბსოლუტური წვდომაც შეუძლებელია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანს საერთოდ არ შეუძლია მისი აღქმა და განცდა. პარმონიულად ნაზავი სამყაროს იერარქიულობა, სამყაროს შემადგენელ ნაწილთა მშვენიერება საფუძველს ქმნის ადამიანის მზაობისათვის მის გასააზრებლად. სამყაროს მოვლენების მეტაფორული აღქმა ადამიანისათვის ბელია ადამიანისათვის, მას იგი ლეთისაგან აქვს მომადლებული. გრძნობადი სამყაროს განსხვავებულად აღქმისათვის სჭირდება მას სიტყვა, მუსიკალური ბგერა, ფერი, პლასტიკა. თითოეული მათგანი შუამავალია სავანსა და აზრს შორის.

მხატვრულ სახედ ქცეული სიტყვა სავანთა და მოვლენათა ანარეკლია, რომელშიც გაერთიანებულია ფსიქიკური და ფიზიკური საწყისები. მხატვრული ენის შესაძლებლობა უსაზღვროა, ვინაიდან მხატვრულ სიტყვაში სახიერდება ერის მესხიერებაში საუკუნეთა მანძილზე არაცნობიერად დაშრევებული სულიერი გამოცდილება, რაც სახისმეტყველებითი აზროვნებისა და გამოხატვის საფუძველს ქმნის. სავანსა და აზრს შორის, ცხადია, სიტყვა ჩნდება, როგორც აზრის გამოხატვის საშუალება სავანზე, როგორც პოეტური ლოგოსი. ტროპი, როგორც სტრუქტურული ელემენტი, მხატვრული წარმოსახვის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც მრავალმხრივად ელენდება და სხვადასხვაგვარ მნიშვნელობას იძენს. მეტაფორა, როგორც ტროპის ერთ-ერთი სახეობა, რთულია, ვინაიდან მას ყოველთვის სახსლე შემოაქვს მხატვრულ აზროვნებაში. შეიძლება ითქვას, იგი ერთჯერადია, თუ იგი მეორდება და მრავალჯერად გამოიყენება, ორიგინალობას კარგავს, თუმცა პირველთქმულისა და პირველმთქმელის ასოციაციებს მუდამ შეინარჩუნებს. არის მეტაფორათა რიგი, რომლებიც მთელ ნაწარმოებს გასდევს და სხვადასხვა ვარიაციით მეორდება. ამგვარი მეტაფორა მსჭვალავს მთელ ნაწარმოებს და მის სიუჟეტს თავიდან ბოლომდე გასდევს, რითაც შემოქმედი თავის მიზანდასახულ სათქმელს თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ამბობს. როდესაც შემოქმედი ამგვარ გამჭოლ მეტაფორას იყენებს, უპირველესად როგორც პოეტური აზროვნების შედეგს, მას ღრმა მხატვრულ ფუნქციას აკისრებს. სხვათა შორის, თხრობისას ზშირად გამოიყენება ცხოვრებისეული გამოცდილება და ინფორმაცია, რომლებიც მხატვრულ პიზმაში მეტაფორად გარდაისახებიან და დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულებით აღჭურვილად გვევლინებიან.

რუსთაველი ქმნის თავის ორიგინალურ მეტაფორულ სისტემას, სიმბოლოებს, ალევორიებს, ენიგმებს და აზრის სილაბაზის წინა პლანზე წამოწევით მათ შორის არსებით და ორგანულ კავშირს ამყარებს, რითაც საბოლოოდ მხატვრული აზროვნების ერთიანი სისტემა ყალიბდება. მეტაფორული, სიმბოლური, ალევორიული და ენიგმური აზროვნება განსაკუთრებული პოეტური ალღოს, სულიერი გამოცდილების, ღრმა ერუდიციისა და ესთეტიკური განცდის იშვიათი გამოვლინების შედეგია.

„ვეფხისტყაოსანში“ მეტაფორული აზროვნების იშვიათი ნიმუშია, რომელშიც ყოველი ეპიზოდი, ყოველი დეტალი, ყოველი გამოთქმა, ყოველი სიტყვა ღრმა დაკვირვებასა და ანალიზს მოითხოვს. „ვეფხისტყაოსნის“ სამყარო, სოფელი და ზესთასოფელი, ვრცელი და მონუმენტურია, სადაც თავიანთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ მნათობებს. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ერთ-ერთი მნათობის - მთვარის მეტაფორული გააზრება, რომელიც მთელს პოემას გასდევს და მისი კომპოზიციის ერთ-ერთ შემკვერელ ელემენტად გვევლინება.

„ვეფხისტყაოსნის“ არაბეთი და მისი სამეფო კარი პარმონიული, მოწესრიგებული ქვეყანაა, სადაც ყველაფერი სრულყოფილებითაა აღსავსე. მართალია, პოემის დასაწყისში ის ჯერ კიდევ არაა ზეციურ იერუსალიმად ჩამოყალიბებული, მაგრამ ჩანს პერსპექტივა, რომ იგი უთუოდ იქნება ზატება ღმერთის მიერ შექმნილი ზესთასამყაროსი, პირველქმნილი სამყაროსი, რის საწინდარიცაა არაბეთის სამეფო ტახტზე მჯდომი მეფის სრულყოფილება, მემკვიდრეობით რომ გადაეცემა ახალ მეფეს, რომელიც, თავის მხრივ, მამისეული სასახლიდან გაუსვლელად, აკეთებს უმნიშვნელოვანეს, ურთულეს საქმეს და მონაწილეობს, resp. მოთავეობს უცხო მოყმის მოძებნას, რითაც საფუძველი ეყრება ახალი სამყაროს, თვისებრივად განახლებული მსოფლიოს შექმნას. არაბეთის მეფე როსტევენი „ვეფხისტყაოსნის“

ძველი თაობის მეფეთა შორის (როსტევეანი, ფარსადანი, სარიდანი, ზღვათა მეფე მელიქ-სურხაი, ფრიდონის პაპა და მამა) ყველაზე სრულყოფილია და მას მხოლოდ სარიდანი შეიძლება ამოუყენოთ გვერდით თავისი პროგრესული პოლიტიკური აზროვნებით. როსტევეანის სრულყოფილებას ადასტურებს მისი რუსთველური დახასიათება.

იყო არაბეთს როსტევეან მეფე ღმრთისაგან სვიანი, მალალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიათ, თეთი მემომარი უებრო, კელა მოუბარი წყლიანი (33)¹.

შოთა რუსთაველი დახატა იდეალური სახე მეფისა, რომელიც ღვთის განგებით, შერწყმული და შეზავებულია სულიერი და ფიზიკური მშვენიერება. მას, თავისი ეპოქის ესთეტიკური პრინციპების შესაბამისად, ღრმა მეტაფორებითა და სიმბოლოებით ნათლად წარმოაჩინა „უთვალავი ფერით“ შემკული არაბთა მეფე, რომლის სახის სრულყოფა და მისი პიროვნების ჰარმონიულობის ჩვენება პოემაში თანდა-თანობით ხორციელდება. ამაში თვით როსტევეანსა და მის გარემოს მიუძღვის უდიდესი წვლილი. უთუოდ უნდა აღინიშნოს როსტევეანის განსაკუთრებული მხატვრული ფუნქცია, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა მისი შემფასებლური პოზიცია, ნაწვენები პოემის დასასრულს. ანგარიშგასაწვეია ის გარემოება, რომ არაბეთის ამბავს რუსთაველი თავად მოკვითხრობს; აქედან გამომდინარე, მისი თხრობა არაბეთის შესახებ საესკეზო ობიექტურია. გავიხსენოთ არისტოტელეს „პოეტიკაში“ ნათქვამი: „საჭიროა, რომ თავისი სახელით პოეტს რაც შეიძლება ცოტას ლაპარაკობდეს, ვინაიდან ამის მიხედვით როდი არის იგი შემოქმედი“ (12, XXIV).

გიორგი ნადირაძემ შენიშნა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „ამამაღლებელ კოსმიურ პანორამებს ენაცვლებიან „მცირე სიდიდენი“, ცის ბრწყინვალე სხეულებს - ვარდისა თუ ძვირფასი ქვების მშვენიერებანი. მაგრამ ფიზიკურ სამყაროს მაინც მეორეხარისხოვანი ადგილი ეთმობა პოემაში. მის ცენტრს წარმოადგენს ადამიანი, ზოლო ადამიანის მხატვრული წარმონაქმნის ძირითად მეთოდს - ფსიქოლოგიური მეთოდი“ (4, 117). „მისი ინტერესი მიმართულია უმთავრესად ადამიანის სულიერი ცხოვრებისაკენ“ (იქვე). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვაღიაროთ, რომ რუსთაველმა მთლიანი სამყაროს მხატვრული განსახიზღება ადამიანის სრულყოფილების საჩვენებლად გამოიყენა. ამიტომ შეამკო ისინი უმთავრესად იდეალური თვისებებით, რომელთა გამო არიან ისინი მისაბაძნი და რომელთა მიხედვით ზრდიდნენ ქართულ კაცში ყოველგვარ კეთილშობილურ გრძნობას, ზიარებულს ზნეობრივ-ეთიკურ ორიენტირებთან.

რუსთაველმა თავისი პოემის მთავარი გმირები შექმნა არა მხოლოდ ემპირიულ სინამდვილეზე დაყრდნობით, არამედ ადამიანობის იდეის რეალიზებით; ამიტომაცაა ასეთი ღრმადი და ცოცხალი „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი პერსონაჟი, რომელიც თავად უწყობს ზელს ყოველივეს განვითარებადობას. ამიტომ, როდესაც რუსთაველი გვიამბობს როსტევეანის თათბირს ვაზირებთან თინათინის გასამეფებლად, თაობათა ცვლის ბუნებრიობას, სამყაროს, როგორც მთელის, ერთიანის, ისე მისი შემადგენელი ნაწილების მარადმდინარობას იშვიათი სიბრძნისმეტყველებითი მეტაფორით გადმოგვცემს, რომელშიც სწორედ ფიზიკური სამყაროს ნაწილად აღქმული უმშვენიერესი ვარდი იჭერს უმთავრეს ადგილს:

რა ვარდმან მისი ყვაილი გაახმოს, დაამკნაროსა,
იგი წახდების, სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა (36).

ძველი თაობის წარმომადგენელი როსტევეანი თავისი სამეფოს მომავალზე ზრუნავს და თავის ერთადერთ ასულს ამეფებს, ე. ი. ადგილს ახალ თაობას უთმობს, რომელმაც თვისებრივი სიახლე უნდა დაამკვიდროს, ზნეობრივად, სოციალურად, პოლიტიკურად, კულტურულად განახლებულ საზოგადოებას მისცეს ასპარეზი და ახალი ქვეყანა, ახალი სამყარო უნდა ჩამოაყალიბოს. ამ მხრივ ღმრთივ-განბრძობილია როსტევეანი, რადგან სიახლის მოლოდინით იკვლავს ზღას ჭეშმარიტებისაკენ. ამიტომაც „ღვთისაგან სვიანი“ და „განგებიათი“ არაბთა მეფე ზემოხსენებულ თეორიულ დებულებას პრაქტიკულად ახორციელებს და ახლადგამეფებულ თინათინს თაობათა ცვლის კანონზომიერებასა და აუცილებლობას ბრძნულად შეაგონებს: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“ (48).

უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებით უყვარდა რუსთაველის ვარდის სიმბოლიკით გამოთქმული ეს ბრძნული შეგონება და იგი „აჩრდილს“ ეპიგრამად წაუძღვარა, ზოლო წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ რუსთაველის მოსაზრება შემდეგნაირად განმარტა: „გული სხვა-რიგად სცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა-გვარადა სცემს მამინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვაილი, ახალის

¹ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი დამოწმებულია შემდეგი გამოცემით: შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, I, აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით, თბ., 1966.

აზრისა... მით უფრო მშვენიერია ეგ ყველი, რომ ჭკნება, თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაბზნდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდევ სხვა და ეგრეთ არ შეადგინოს ისტორიულ ყვეილთა გრენილი, რომელშიაც მომდევარი წინამდგმულზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი“ (10,121). მართალია, ილია საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიულ განვითარებაზე საუბრობს, მაგრამ მისი განზოგადება, ანუ ამ საუბარში ზოგადად დიალექტიკური მოძრაობის არსის დანახვა საყვებით შესაძლებელია. გრძობადი სინამდვილის „უთვალავი ფერის“ ყოველი წვერი მოძრაობის, ცვალებადობის უნივერსალურ კანონს ექვემდებარება და ემორჩილება. ცალკეული საგნისა თუ მოვლენის გარდამავლობა-ცვალებადობა ბუნების არსებობის მიუცილებელი საფუძველია. ამიტომ სიკვდილი გრძობადი სინამდვილის განახლებისა და, ამავე დროს, მარადიულობის აუცილებელი პირობაა, რაც რუსთაველმა სხვაგანაც ეკატერინ ბიბლიური ზატოეანი აზროვნებით ნასაზღოები ბრძნული აფორიზმით: „ღმერთმა ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყვიდოს!“ (308). ეს გამონათქვამი, დაფუძნებული პავლეს ეპისტოლეზე კორინთელთა მიმართ - „შენ რომელი დასთვისი, არა ცხოვრდის, ვიდრემდე არა მოკუდის“, I კორ. 15,36 - განიხილა კორნელი კეკელიძემ და დაასკვნა, რომ ამ აფორიზმით გამოხატულია „კავშირი ორ კონტრასტულ მოვლენას შორის: სიცოცხლესა („აცხოვნოს“) და სიკვდილს („წაწყვიდოს“), სიცოცხლე-არსებობა განპირობებულია მოსპობა-სიკვდილით“ (3,197).

ყოველივე ეს უთუოდ გვაგულისხმებინებს სამყაროში მიმდინარე უკიდევანო ცვალებადობის მშვენიერებას, ვინაიდან სამყაროს მრავალფეროვნების აღქმა ესთეტიკური განცდის საფუძველთა საფუძველია.

ამასთან, საჭიროა დროთა კავშირის შენარჩუნება, იგი არ უნდა გაწყდეს. ამიტომაცაა საჭირო ახალი ადამიანის შემოსვლა. ერის, ქვეყნის სულიერი ცხოვრების წარსამართად, მის გასამთლიანებლად, გასაჯანსაღებლად აუცილებელია ძველი თაობის ახლით შეცვლა, შეიძლება ითქვას, მეტაისტორიული პიროვნებით ან პიროვნებებით შეცვლა, რომლებიც საკუთარ თავში გადამრჩენის ფუნქციას ატარებენ, სამყაროსა და ადამიანის სულის გადამრჩენისა, რაც უთუოდ ღვთისაგანაა განსაზღვრული. ამდენად, მთლიანი და ერთიანი სამყარო, რომელიც „ეფუხისტყაოსანში“ მეტაფორულად წარმოისახება, გადასარჩენია, რისთვისაც როსტევენი პირველ ნაბიჯს ღვამს, ამეფუხს თავის ერთადერთ ასულს, რომელსაც თავად ძედ მოიხსენიებს.

როსტევენიმა თავის ვაზირებს ამცნო გადაწყვეტილება ერთადერთი ასულის - თინათინის გამეფების შესახებ და მათ აზრის გაზიარება სთხოვა - „გკითხავ საქმესა ერთგან სასაუბნაროსა“, ვაზირებმა მეფესთან ქცევისა და საუბრის ეტიკეტი დაიცვეს და მოახსენეს:

...მეფეო, რად ჰბრძანეთ თქვენი ბერობა?

ვარდი თუ გახმეს, ეგრეთა გემართებს მისივე ჯერობა,

მისივე მკვებობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა.

მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა?! (38).

ამ სტროფის ბოლო ტაეპი ასტროფიზიკური თვალსაზრისით მზის მთვარეზე მოქმედებას, მთვარის ფაზების წარმოქმნაზე მზის გავლენას აჩვენებს, რაც „ეფუხისტყაოსანში“ არაერთგზის იჩნეს თავს. მაგრამ აქ ჩვენთვის მთავარია მისი მხატვრული ფუნქცია, მხატვრულ-ესთეტიკური გააზრება. ზემოთ დამოწმებულ ტაეპში „მთვარესა მცხრალსა“ არაბეთის ჭარმაგი მფენის სახე მეტაფორულადაა მოაზრებული. ვაზირთა შეხედულებით, გამხმარი ვარდი კვლავ გამოსცემს სურნელს და მაინც ტურფა სახილველია, იგი მაინც ვარდად რჩება, რაც ეხმიანება როსტევენის ზემოხსენებულ სიტყვებს, რომელშიც ვარდის მეტაფორული გააზრებაა მოცემული. ვაზირთა ნათქვამი კიდევ ერთხელ მიუთითებს სამყაროს დიალექტიკურ მოძრაობას, ბუნების იერარქიულ წყობას. ამდენად, ვარსკვლავი მეტოქეობას ვერ გაუბედავს მთვარეს, თუნდაც მცხრალი იყოს იგი. ვფიქრობთ, ვაზირთა ნათქვამს კვლავ ეხმიანება პოემის დასასრულს თინათინის დასახსიათებლად, მისი ახლგაზრდობის საჩვენებლად როსტევენის მიერ მოხმობილი ვარდის და ყვეილის მეტაფორა: „ვარდი ახლად იფურცვებნის, მე ყვეილი დამებერა“ (1525).

ფურადლებას იქცევს ზემოხსენებული სტროფის მეოთხე ტაეპში ნახსენები „მთვარესა მცხრალსა“, რომელიც სიუჟეტის განვითარების თვალსაზრისით იქცევს ფურადლებას, რის მიხედვითაც „ეფუხისტყაოსანის“ პერსონაჟები შედარებულნი არიან შვიდი დღის მთვარესთან, სავსე მთვარესთან, ან მცხრალ მთვარესთან, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. რაც შეეხება „მცხრალ მთვარეს“, იგი „ეფუხისტყაოსანს“ დართულ ხელნაწერ თუ ბეჭდურ ლექსიკონებში, აგრეთვე კომენტარებში, „გალეულ მთვარედაა“ განმარტებული. ვახტანგ მეექვსე და თეიმურაზ ბაგრატიონი „მცხრალს“ არ განმარტავენ, რაც იმას მიუთითებს, რომ მისი სემანტიკა მათ მკითხველისათვის გასაგებად მარჩნდოა. „ეფუხისტყაოსანის“ ხელნაწერ ლექსიკონებში „მცხრალი“ მხოლოდ ორ ხელნაწერშია განმარტებული: 1. „სავსებისაგან დაკლებული მთვარე“ (A-855) და 2. „დალეული მთვარე“ (ლიტერატურის მუზეუმის ხელნ. № 12914) (2). დაეთი ჩუბინაშვილმა „ეფუხისტყაოსანის“ 1860 წლის გამოცემას დართულ ლექსიკონში იგი შემდეგ-

ნაირად განმარტა: „ფერნამკრთალი, გალუული მთვარე“ (6). აკაკი შანიძის ლექსიკონით, „მთვარესა მცხრალსა“ დაკლებული მთვარეა (7). ვუკოლ ბერიძე წერს. „ამ ქვეყნიდან მთვარე (თუმცაღა თავისი საკუთარი შუქით არა), მაინც ყოველ ვარსკვლავზე უფრო მანათობლად ჩანს და სწორედ აქედანაა ეს შედარება: რაც უნდაა გალუული იყოს მთვარე, ვარსკვლავი მას მტერობას, მეტოქეობას ვერ გაუბუდავს, ე. ი. „მცხრალი“ გალუულია (1).

რუსულ თარგმანებში (კ. ბალმონტი, ნ. ზაბოლოცკი, შ. ნუცუბიძე, პ. პეტრენკო), მათ შორის სოლომონ იორდანიშვილისეულ პუკარედში, იგი თარგმნილია „ущербная луна“-დ, რასაც ზუსტად ვერ მივიჩნევთ, ვინაიდან დედნისეული მეტაფორული აზროვნების სიღრმეს ვერ სწვდება და ამ შესანიშნავ მხატვრულ სახეს აკნინებს. ბორის გაპონოვის ებრაულ თარგმანში აზრი ასეა გადატანილი: მთვარე მესამედამდეც რომ შემცირდეს, ვარსკვლავს მაინც აჯობებს. გასტონ ბუაჩიძის ფრანგული თარგმანით, მთვარე შესუსტებული, მკრთალი ნათელი გამოდგება.

„მცხრალი მთვარის“ მხატვრული სახის სრულყოფილად წარმოსაჩენად საჭიროა მისი სემანტიკის განსაზღვრა, რისთვისაც აუცილებლად გასათვალისწინებელია ქართული სალექსიკონო მასალის მონაცემები. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ: „მცხრალი - გავსილი მთოვარის დაკლება; საესე მთოვარეზე მცირე ნაკლები“ (5). დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში „მცხრალი“ ორგვარადაა განმარტებული: „გალუული მთვარე; ფერნამკრთალი; ущерб луны, бледный, темноватый, მცხრალი მთოვარე месяц в ущерб, მცხრალი ნათელი - темноватый свет. დიდი მცხრალი, ე. ი. რადგანაც აღდგომის დამდეგი იქნება შემდგომ სრულისა ან გავსებულის მთოვარისა მარტს ან აპრილის თვეში, ამისთვის მთოვარე იკლებს ენებათ კვირას ან ბრწყინვალე კვირას. იმ კლებას მთოვარისა პასხალის რიცხვში ან კინკლოსში უწოდებენ დიდმცხრალად; пасхальное полнолуние“ (9). ზურაბ სარაჯველაძე A-85 ხელნაწერის მონაცემს - „უწყებად დიდისა მცხრალისა“ - მთვარის მოკლების დროდ განმარტავს (A-85, 320v,26) (8). ივანე ჯავახიშვილმა მთვარის კულტის პრობლემის განხილვისას აღნიშნა, რომ მთვარის დღესასწაული თვეში ოთხჯერ ჰქონდათ: ახალ მთვარეს, პირველ მეოთხედს, გავსებულს და მცხრალის მთვარის დროს (11,89-99), რაც, ფაქტობრივად, მთვარის ოთხ ძირითად მდგომარეობაზე მიუთითებს. აქედან გამომდინარე, მცხრალი მთვარე ეწოდება ბოლო მეოთხედის მთვარეს.

ქართულ პოეზიაში გავრცელებულია „მცხრალი მთვარის“ მხატვრული სახე სხვადასხვაგვარი ვარიაციით, ხშირია საესე მთვარის მკრთალი ნათელიც. მოვესმინით ნიკოლოზ ბარათაშვილს: „მას ჰგვანდა მთვარე, ნაზად მორაე, დისკოვალახრით შუქმიზინდული“; „მკრთალი ნათელი საესე მთვარისა შობულე ქვეყანას ზედ მოჰფენოდა“. ძალზე საინტერესოა აკაკი წერეთლის სტრიქონები: „რა სინათლეა სინათლე დამცხრალი, ძველი მთვარისა?“ იგი „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენთვის ამჟერად საინტერესო სტრიქონის ერთგვარ რემინისცენციად შეიძლება მივიჩნიოთ. ვფიქრობთ, აკაკისათვის შესაძლო წყარო სწორედ რუსთაველის სიტყვები უნდა იყოს. გალაკტიონ ტაბიძის შთაბეჭდავი პოეტური სახეებით გამოჩრეულ „მთაწმინდის მთვარეში“ ყურადღებას იქცევს მთვარე თავის შუქთა მკრთალი სხივით: „მთვარე თითქოს ზამბახია, შუქთა მკრთალი სხივით“. მცხრალის სემანტიკური ველის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია გიორგი ლეონიძის მიერ არაგვისა და მტკერის მხატვრული სახეებით და ოპოზიციური წყვილი - „მცხრალი - ცხარე“ წარმოჩენა:

„ვაშად მოდიან, ეტყობათ,
როიე გულდამტკარია,
მოეზივრთება არაგვი,
კვერთხით რომ მოდის - მტკეარია,
ერთი მცხრალია, მეორე
თვალდაფეთებით ცხარია“.

ხალხურ პოეზიაში მზეც შეიძლება იყოს დამცხრალი. აქ მზის დაცხრომა, ანუ ჩამავალი მზის სახე მეტაფორულია და იგი სიციცხლის მიმწუხრის მაუწყებელია. ლექსი „ხოგაის მინდი“ გვამცნობს:

„ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა“.

ივანე წიკლაურის ცნობილ ლექსში - „რამ დამაბერა“ - დაბერების ერთ-ერთ მიზეზად მცხრალი მთვარის ზედგომაა მითითებული: „ქისტეთ ომიკში მისვლამა, ზე მთვარის დგომამ მცხრლისამა“, რომელსაც აღექსი ჭონჭარაული „სავსე მთვარედ“ მიიჩნევს. განმარტება ზუსტი არ არის, უნდა გაითვალისწინოთ, რომ „მცხრალი მთვარე“ საესეობისაგან კლებისაკენ მიდრეკილია, ე. ი. ნათელდაკლებულია. აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ ხევსურულ, ფშაურ და თუშურ დიალექტებში, როგორც მიუთითებენ, „მცხრალ მთვარეს“ ნათელდაკლებულ მთვარეს უწოდებენ.

ყოველივე ზემოთქმული იმას მიუთითებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „მთვარესა მცხრალსა“ მთვარის იმეგარ მდგომარეობას გვაუწყებს, როდესაც მთვარე კლებულობს, ბოლო მეოთხედშია და, შესაბამისად, ნათელიც აკლდება. უზუსტესია სულხან-საბა ორბელიანისეული და „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ხელნაწერის A-855-ის განმარტებები. აგრეთვე, მართებულია ზ. სარჯველაძის კომენტარ-განმარტება. „ვეფხისტყაოსნის“ „მთვარესა მცხრალსა“ მეტაფორაა, რომელიც პოემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერსონაჟის - როსტევანის დასახასიათებლად და მისი სახის სრულყოფილად წარმოჩენისათვის მოსამზადებლად არის მოხმობილი. პოემის კომენტარებსა და ლექსიკონებში მითითებული „გალეული მთვარე“, მართალია, მთვარის ფიზიკურ მდგომარეობას მიგვანიშნებს, მაგრამ მთლად ზუსტი არ არის; იგი მთვარის ბოლო მეოთხედს აღნიშნავს, მაგრამ მთვარი აქ ისაა, რომ ტაეპის განმარტებისას უთოვად უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი მხატვრული ფუნქცია და უნდა დაზუსტდეს, სინტაქსში „მთვარესა მცხრალსა“ მთვარის როგორი მდგომარეობა იგულისხმება, ვინაიდან იგი ქრონოტოპულ მხატვრულ ფუნქციას იძენს და როსტევანის სიცოცხლის მიმწუხრს გვაუწყებს. „მცხრალი მთვარე“ მთვარის ბოლო მეოთხედაა.

ჩვენ მრავლისაგან მცირედი დავიმოწმეთ, მაგრამ აქედანაც ნათლად წარმოჩნდა, რომ რუსთველი-სეული „მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა“ უაღრესად მნიშვნელოვანი და ღრმად დატვირთული მეტაფორული სახეა, რომელიც როსტევანის სახის სრულყოფილების წარმოსახვას ემსახურება. ჭარმაგობიდან სიბერისაკენ მიდრეკილი როსტევანი შედარებულია მცხრალ მთვარესთან, ანუ სავსეობისაგან დაკლებულ და, აქედან გამომდინარე, სხივმკრთალ, შუქნაკლულ მთვარესთან. ეს თავისთავად იმასაც მიუთითებს, რომ მთვარის მცხრალსა ახალმთვარეობით, 7 დღის ან სავსე მთვარით შეიცვლება. ეს კი მეტაფორულად თაობათა ცვლის კანონზომიერებას მიანიშნებს; როსტევანის, ვითარცა მცხრალი მთვარის, ნაცვლად თინათინი, სავსე მთვარის მსგავსი მემკვიდრე უნდა გამეფდეს არაბეთში. კონტექსტის გათვალისწინებით, გამორიცხულია, რომ ქვეშევრდომებმა მეფე გალელულ მთვარეს შეადარონ, მაგრამ რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, ვაზირები ფაქტსაც აღნიშნავენ, ხოლო ვარსკვლავთან შედარებით მის უპირატესობას წარმოაჩენენ არაპირდაპირ, მთვარის სიმცხრალესთან შედარებით. მით უფრო, რომ ვარდის სიღამჭნარის მეტაფორული გააზრებითაც ნათლად ჩანს, როგორ აფასებენ ვაზირები მეფის სიბერეს. ვარდი დამჭნარიც ვარდია და სავსეობისაგან დაკლებულ, შუქმკრთალ, სხივგამკრთალ მთვარეს ბრწყინვალეობით ვარსკვლავი მაინც ვერ შეედრება. აქ ყურადღება გაამახვილეს არა მთვარის ფაზების ცვლაზე მისი სინათლის გამოვლინებისათვის, არამედ ვარსკვლავზე, რომელიც, რაც უნდა კაშკაშა იყოს, მაინც ნაკლებ სინათლეს აფრქვევს, ვიდრე გალელული მთვარე. სტროფი თავისი მეტაფორული მეტყველებით როსტევანის შეუდარებლობის, ღირსეულობის, მორჭმულობის ჩვენებას ისახავს მიზნად, ამავე დროს, იმასაც წარმოაჩენს, რომ ყველა და ყველაფერი ცვალებადია, დინამიურია. აქვე უთოვდ უნდა შევნიშნოთ რუსთაველის დამოკიდებულება მცხრალ მთვარესთან შედარებული როსტევანისა და შვიდი დღის მთვარესთან შედარებული ავთანდილისადმი. გულანშაროში მყოფი ავთანდილის შესახებ ფაქტმან ზათუნს მონა უამბობს, რომ მოსულა ვაჭართა ქარაუნის პატრონი, „საროსა მსგავსი ნაზარდი და მთვარე დღისა შეიღისა“ (1408), რომლითაც რუსთაველმა ექვსიტანული მსოფლმხვეველობა, ასტროფიზიკური ცოდნა და ასტროლოგიური შეხედულებანი შეაზავა, რაც მისეული სამყაროს რენესანსული ესთეტიკური ხედვის თვალსაჩინო გამოხატულებაა.

„მთვარესა მცხრალსა“ ღრმად გასააზრებელი მეტაფორაა, რომელიც ერთგვარად უპირისპირდება როსტევანის ნათქვამს: „რა ვარდმან მისი ყვაილი“... და „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“. ეს მეტაფორა, ვითარცა ობიექტური სინამდვილის ანარეკლი და მხატვრული აზროვნების შედეგი, ზოგადი ხასიათისაგან და კონკრეტული სიტუაციისათვის შექმნილიც. იგი ეთიკურ კატეგორიასაც გულისხმობს, ვინაიდან მასში არსებული სადმი მორჩილების პრინციპია ჩაღებული. ის სიტყვებით მიმართავენ მეფეს ვაზირები, ვითარცა ქვეშევრდომნი, რომელთათვისაც მეფეთაგან მორჩილება აუცილებელი. მაგრამ ისიც უთოვდ უნდა ითქვას, რომ იმავე ვაზირებმა წარმოთქვეს ის სიტყვები, რომლითაც თინათინის მეფობა მის მეფობადაა აღიარებული: „ლექვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხედაია“ (40). ეს ის

შემთხვევაა, როდესაც ღუმილი, „ოქროდ რჩეული“, არ ეგების და ბრძნად მეტყველებად „ვეცხლი არს“. ამგვარი მეტყველება, ამავე დროს, ესთეტიზმითაა დატვირთული და, რაც მთავარია, სიბრძნეს გადმოგვცემს. ამ მეტაფორას ქრონოტოპული მნიშვნელობა ენიჭება, იგი არაბთა მეფის გარდასულ ყოფასა და ცხოვრებას მოუთითებს დროსა და სიერცეში, რაც საკმაოდ დელიკატურად განაცხადეს ვაზირებმა. ამასთან, იგი ესთეტიკური ფუნქციის მქონეა. მთვარე, როგორც სამყაროს (კოსმოსის) ნაწილი, ღმერთის შექმნილია და მისი ფაზების მონაცვლეობაც ღმერთის დაწესებულია, ხოლო ის, რაც ცვალებადია, მშვენიერია, ვინაიდან მშვენიერება დინამიურობაშია. მეტაფორა „მთვარესა მცხრალსა“... საფუძვლად ედება სამყაროსა და ყოფიერების მთლიანობაში აღქმას, ადამიანის განცდისა და შინაგანი ბუნების რეალობის შემტანას; ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანი და სამყარო - მიკროკოსმოსი და მაკროკოსმოსი - ერთობანია, მთლიანია და მრავალფეროვანი, რაც ქმნის მშვენიერების საფუძველს.

საინტერესოა, როგორ ხსნის თვით რუსთაველი მთვარის სისახესა და მცხრალბობას. ამ მხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანია სტროფი, რომელიც ტარიელთან მეორედ შესაყრელად ავთანდილის წასვლას უკავშირდება:

მთვარე მზესა მოეშორვოს, მოშორევა გაანათლებს,
რა ეახლოს, შუქი დასწავეს, გაეყრების, ვერ იახლებს,
მაგრა ვარდსა უშვებოა გაახმობს და ფერსა აკლებს,
ჩვენ ვერ-ჭვრეტა საყვარლისა ჭირსა ძველსა ვაგვიანლებს (832).

ასტრონომიულ-ფიზიკური კანონების შესაბამისად, მთვარე გავსებულია მაშინ, როდესაც იგი მზისაგან უკიდურესად შორსაა. როცა ახლოსაა, შუქმკრთალია, ანუ მცხრალია. რატომ დასჭირდა რუსთაველს ამ ასტრო-ფიზიკური მოვლენის მოხმობა ისეთ დროს, როდესაც ავთანდილი განშორდა მიჯნურს და წავიდა ტარიელთან მეორედ შესახვედრად და, შესაბამისად, მის დასახმარებლად? მზისა და მთვარის მდგომარეობის კონტრასტული წარმოსახვით რუსთაველი მძაფრ ფერებში ხატავს თავისი საყვარელი პერსონაჟის, მიჯნურთან განშორებული ავთანდილის სულიერ მიმოხრებს, მძაფრ განცდებს და მის ფიქლოვანი პორტრეტს წარმოაჩენს. მიჯნურთან განშორებამ უნდა გამოსცადოს ავთანდილის სიყვარული თინათინსადმი, სიყვარულის ხანიერობა, როგორც პროლოგშია თქმული, „თავის-წინა იგონებდეს, ნიადამცაჲ ჰქონდა ხალვა, შორით ბნელა, შორით კვლამა, შორით დაგვა, შორით აღვა (28), რითაც უნდა დაადასტუროს ჭეშმარიტება მოძღვრებისა: „ვიინცა ეცდების, თობამცაჲ ჰქონდა მრავალთა წყენათა“ (20). აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, მზის სიშორე მთვარეს ავსებს, ხოლო მეორე მხრივ, ვარდს „უშვებოა გაახმობს და ფერსა აკლებს“, რაც ბუნების კონტრასტულ მოვლენებს მოუთითებს და სწორედ ეს კონტრასტულობა უდევს საფუძვლად მიჯნურს მოცილებული ავთანდილის სულიერ გრადაციებს.

მთვარის სისახე-მცხრალბობა „ვეფხისტყაოსანში“ წარმოჩენილია ავთანდილის მიმართელოცვაში მნათობებისადმი, სადაც მთვარისადმი მიმართვას ეთმობა ბოლო სტროფი:

მო, მთვარეო, შემობრალე, ვილევო და შენებრ ვმკვლდები,
მზე გამავსებეს, მზევე გამლევეს, ზოგჯერ ვსხვდები, მთვარეო ვწვლდები,
მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს, ანუ რაგვარ ებნდები,
მიდი, უთხარ, ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვეკვდები (964).

სტროფში ხაზგასმულია მთვარის ასტროფიზიკური მდგომარეობა, კერძოდ მთვარის გავსება და გალევა-დაცხრომა, რაც მიჯნურის მდგომარეობას სიმბოლურ-მეტაფორულად წარმოსახავს. მზისაგან მთვარის გავსება ნიშნავს მიჯნურის სულიერი მომავლისა და ბედნიერებისა, ხოლო დაცხრომა-განლევა - მიჯნურის ტანჯული ცხოვრებისა და სულისა. აქ მზე მეტაფორაა და სიმბოლოც, რომელიც მეტაფორულად მიჯნურია, ხოლო სიმბოლურად მასში ქრისტიანული ღმერთი მოიაზრება. ამიტომ მთვარისადმი ავთანდილის მიმართვაში „მას უამბენ სჯანი ჩემნი“ ერთოდროულად მოვიაზრებთ და ვივალისხმებთ ქრისტიანულ ღმერთსა და მიჯნურს, ანუ თინათინს. აგრეთვე, მთვარის სიშორე მზისაგან და მთვარის ნათლით ავსება იმის სიმბოლური გამოხატულებაცაა, რომ ღმერთის ხილვა შეუძლებელია. ამდენად, მთვარე და გავსება-დაცხრომა მეტაფორული და სიმბოლური ფუნქციითაა მოხმობილი.

რუსთაველის „მარგალიტი ობოლის“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სავესე მთვარისა და მცხრალი მთვარის მეტაფორა, რომელიც სიუჟეტურად კრავს „ვეფხისტყაოსანს“ და წარმოსახავს მის პერსონაჟებს. პოემის სიუჟეტი და პერსონაჟები მთვარის სისახისა და სიმცხრალის აქცენტირებით ორად იყოფიან, ვინაიდან, ერთის მხრივ, სიუჟეტურად მცხრალი მთვარის განახლებას, ანუ გავსება მიზნად დასახული და ასევე ხდება, მეორეს მხრივ, ნათელდაკლებულ, მცხრალ მთვარესთან შედარებული ძველი თაობა უნდა შეცვალოს სავესე მთვარის სიმბოლიკით წარმოსახულმა მთვარემ. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თვით ახალ თაობაშიც შეინიშნება და მკვეთრად ირეკლება მთვარის მცხრალბობა-სახესობა მათი სულიერი მდგომარეობის შესაბამისად.

საგულისხმოა, რომ ერთადერთი პერსონაჟია თინათინი, რომელიც იმთავითვე გავსებულადა წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანში“: „რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია“ (35). ეს პოემის ექსპოზიციისთვის თქმული და იგი ასეთადვე რჩება ბოლომდე. ერთადერთი შემთხვევაა თინათინის „ფერ-ნამკრთალობისა“, ეს მაშინ, როდესაც უცხო მოყმის ნახვით და მასთან პირისპირ შეუყრელობით დაჯავრიანებულ როსტევანს მსახური მოახსენებს მამის დაღრევილობის ამბით ფერნამკრთალი თინათინის მისვლისა და გაბრუნების ამბავს. მაგრამ შემდეგ, როდესაც როსტევანმა თავისთან იხმო თავისი ასული, რათა ჭმუნვა გაუქარვოს, გულის წყლულს ეწამლოს და მას უამბოს ლხინთა ლევის მიზეზი, რუსთაველი თინათინს კვლავ სინათლით ავსებულ მთვარედ წარმოსახავს: „უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა“, რასაც ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება. თინათინმა მამა-მეფეს წყლული უნდა დაუბადოს თავისი ბრძნული რჩევითა და გადაწყვეტილებით.

თინათინის განათებული მთვარესთან შედარება მის სიხარულს გამოხატავს, როდესაც მას აეთანდილმა ტარიელის ძებნისა და პოემის ამბავი უამბო:

ქალსა რა ესმა ამბავი, მიჰხედა წადილი ნებისა,

განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნავანებისა (703).

ნათლად ნავანები, განათებული მთვარის მეტაფორით თინათინის წარმოჩენა მისი სახის სრულყოფილების, იდეალურობის, ღვთაებრივობით შემოკლებულობის მაუწყებელია. სხვა მთავარი პერსონაჟები, ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, აეთანდილო, ხან სავეს მთვარეს, ხან მცხრალ, სხივმკრთალ მთვარეს ედარებიან.

გავსება-განლევების უაღრესად მნიშვნელოვანი მეტაფორული გააზრება გვეხდება ტარიელისა და ფრიდონის დიალოგში. პირველი კითხვა, რომელიც დაჭრილმა ფრიდონმა მისცა ტარიელს, ნათლად წარმოაჩინა ტარიელის განვლილი ცხოვრების ორ ეტაპს; აღუვლებული და განრისხებული ფრიდონი, რომელზეც რუსთაველი ამბობს: „მტერთა ექაღდა, წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა“ (596), უცნობი ვაჟკაცის მშვენიერებით იხიბლება და მშვიდდება, მისი სიღამაზის ხილვა მასში სულიერ კათარსის იწვევს და თავადვე გრძნობს ტარიელის პიროვნებაში მომხდარ სულიერ კატაკლიზმებს და განსაცდელს, რის გამოც იგი დაინტერესდა მის წინ მღვამი მოყმით:

პირველ მითხრა: „არა ვიცი, რა ხარ, ანუ რას გამსგავსო?

ანუ აგრე რამ დაგლია, ანუ პირველ რამ გაგავსო?

რამან შექმნა მოყვითანედ, ვარდ-გიშერი რომე პრგავსო?

ღმერთმან მისგან ანთებული სანთელიმცა რად დაგავსო“ (602).

აქ ნათლად იკვეთება ტარიელის ცხოვრებაში მისი გავსებისა და განლევების პერიოდები, რაც ზუსტად შენიშნა ფრიდონმა. შენიშნა, რომ თავდაპირველად იგი სავეს მთვარის საღარი უნდა ყოფილიყო, ღმერთისაგან ანთებული სანთელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ წუთისოფლურ ცხოვრებას მისი სანთელი დაუვსია და სავეს მთვარე უდროოდ გალულად უქცევია. ბოლო ტაქის მიხედვით, ტარიელი ღვთის განცემით გამოარჩეულია: „მრავალნი არიან წოდებულ, მცირედნი ჩრეულ“ (მ.22,14), რაც იმას ნიშნავს, რომ ტარიელი ღვთისაგან ანთებული სანთელია. აშკარაა, რუსთაველმა აქ მშვენიერება გააღებებებია და ასტროლოგიაც გამაშვენიერა. უნდა აღინიშნოს, რომ ასტროლოგიური და ასტროლოგიური მოვლენები „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრული ფუნქციით გამოიყენებიან და ისინი რუსთაველისათვის პერსონაჟის შინაგან განცდათა ამსახველ საშუალებებად გვევლინებიან. ფსიქოლოგიურ დატვირთვასთან ერთად მათ სიმბოლური მნიშვნელობაც აქვთ, რითაც თითოეული პერსონაჟი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში – ტარიელი, დინამიკაში წარმოჩნდება, ე. ი. იგი იცვლება, მისი სახე არ არის სტატიკური, იგი განვითარებადი. „ვეფხისტყაოსანში“ კიდევ ერთხელ გაივლევს შუქმკრთალ მთვარესთან შედარებული ტარიელის სახე, როდესაც მიჯნურის წერილი და რიდის ვადანაკვეთი მოუტანა აეთანდილმა და ყოველგვარი შემოვლილი გზის გარეშე, პირდაპირ აჩვენა, რამაც ტარიელის გულისწასვლა გამოიწვია. ტარიელის მომჯობინება მხოლოდ ლომის სისხლით გახდა შესაძლებელი. მის გონს მოსვლას ასე გვამცნობს რუსთაველი: „ლურჯად ჩანს შუქი მთვარისა, მზისაგან შუქ-ნაკრომისა“ (1346). ეს ბოლო ეტაპია ტარიელისათვის მზისაგან შუქ-ნაკრომად მისი წარმოსახვისა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნესტან-დარეჯანის წარმოჩენა სავეს თუ მცხრალი მთვარის მეტაფორით, რასაც ორგვარი ღირებულება ეკისრება: 1. უპირველესად მის გარეგნულ მშვენიერებას წარმოსახავს სავეს მთვარესთან შედარებით და 2. მთვარის სისახვე-სიმცხრალით ნესტან-დარეჯანის მდგომარეობა იხატება, რაც, პარალელურად მითოპოეტურ საბურველშიცაა გახვეული. იგი შუქ-ჩრდილითაა ნაჩვენები ისე, რომ მთვარის გავსება-დაცხრომა, ანუ ნათლის – შუქის ბრწყინვალეობა და მისი სინაკლულე რუსთაველის მხატვრულ სააზროვნო სისტემაში საფუძველს იძლევა, ერთის მხრივ, სიამოვნებისა და სიხარულის, მეორეს მხრივ, უსიამოვნებათა რიგის, სულიერი კატაკლიზმების, მძაფრი სულიერი განცდების გადმოსაცემად.

ნესტან-დარეჯანი ინდოეთიდან გადაკარგვამდე, ანუ მამის მიერ აგებულ ფაზარის სასახლეში ცხოვრების პერიოდში „ანუ მზე იყო ქვეყანად, ან მთვარე პირ-გავსებული“ (541). ეს მამინ, როდესაც ნესტან-დარეჯანი, ლალი და ამაყი ინდოეთის მეფის ასული, ადვილად წყვეტს ყოველივეს, მიჯნურის სიტყვებით გულმომლობარი და დაწყნარებული ზვარაზმშას ძის ზედსიძედ მოყვანის საწინააღმდეგო გეგმას სახავს, რასაც შედეგად ტახტის მემკვიდრეთა ინდოეთიდან გადახვეწა მოჰყვა.

ნესტან-დარეჯანის მდგომარეობის გამოსწორებას ლამობენ ფატმანი და უსენი: „გვითხარ, რა არის წამალი მთვარისა შუქ-ნამკრთალისა? რას შეუქმნიხარ ზაფრანად შენ, ფერად მსგავსი ლალისა?“ (1157), რადგან მას შუქნამკრთალ მთვარედ ხედავენ. შუქმკრთალი მთვარე, ვალეული მთვარე რუსთაველის მხატვრულ აზროვნებაში მიჯნურის ტანჯული სულის სიმბოლოა, ხოლო მთვარის გავსება პერსონაჟის ბედნიერებას მოასწავებს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მელიქ-სურხავის ტყვეობიდან თავდახსნილი ნესტან-დარეჯანი თითქოს გადაურჩა ბოროტებას და გავსებულ მთვარედ მოგვევლინა, მაგრამ საშიშროება რომ კვლავ არსებობს, ესეც ჩანს: „დარჩა მთვარე გველისაგან გავსებული, ჩასანთქმელი“ (1198), ე. ი. გავსებული მთვარე, ანუ ამჯერად გადარჩენილი ნესტან-დარეჯანი, მაინც გველისაგან ჩასანთქმელია, რაც ქაჯეთან შეხვედრისას აღსრულდა კიდევ. ამას ფატმანს უამბობს გულანშაროში მყოფი ქაჯეთის მკვიდრი, როშაქის ლაშქრის წევრი, რომელმაც საკუთარი თვალთ იხილა ნესტან-დარეჯანი, „მანათლობელი ბნელისა“, რომელმაც, ცხადია, თავდაცვა ვერ შეძლო და დაატყვევეს. მონა ასე აღწერს ამ შეხვედრას:

კვლა ეპკითხეთ: „გვითხარ მართალი საქმე შენ მზებრ ნათელისა, ვისი ხარ, ვინ ხარ, სით მოხვალ მანათლობელი ბნელისა?“
მან არა ვვითხარა, გაუშვა წყარო ცრემლისა ცხელისა.

რა საბრალოა გავსილი მთვარე, ჩანთქმული გველისა!“ (1230).

ნესტან-დარეჯანი ტარიელთან შეხვედრამდე რჩება ვითარცა „ღელისა შტო-დამჭნარისა, მთვარისა ფერ-მიხდილისა“ (1359).

მზე-მთვარისა და გველი-გველეშაპის სიმბოლოები, რომლებიც სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის სიმბოლოებს წარმოადგენენ, „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯეთის ციხის დამხობით, ნესტან-დარეჯანის გათავისუფლებით და, რაც მთავარია, სიკეთის გამარჯვებით, ნათლის დამკვიდრებით მთავრდება, რაც მზის, მთვარისა და გველეშაპის სიმბოლიკითაა გადმოცემული:

ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ (1419).

ქაჯეთის ციხიდან გამოსხნილი ნესტან-დარეჯანი ეუბნება თავის მოამაგეს, ფატმანს, „ღელისა მჯობი დედა“ რომ უწოდა:

ღმერთმან გული გამინათლა, გახეთქილი, გა-ცა-მწკრალი,

აწ აგერ ვარ გავსებული, წინას ვიყავ ვითა მცხრალი,

მზემან შეუნი შემომადგნა, ვარდი მით ეჩან არ-დამხრალი (1435).

ნესტანის სიტყვებში სასევ და მცხრალი მთვარე, მეტაფორის სახით გამოხატული, ბინარულ ოპოზიციად წარმოდგება, რომლის მიზანიცაა ახალი სულიერი სიმბოლისაქენ სწრაფვის ჩვენება. აქ მთვარე არაა ნახსენები, მაგრამ ნესტან-დარეჯანის გავსებულობა და მისი, როგორც ვარდის, დაუმზრალობა მზის შუქთა შემოდგამამ განაპირობა, ცხადია, მთვარის სისავსე-სიმცხრალეც მის გარდასულ და ახლანდელ მდგომარეობას ასახავს. ამ მეტაფორით გადალახულია დროსიერციული ზღვარი, წარმოსახულია სამყაროსა და ადამიანის მთლიანობა და ერთიანობა. ის, რაც არაბეთში ჩაისახა, არაბეთიდან დაიწყო - მცხრალი მთვარის განახლება, გასრულდება ინდოეთში ნესტან-დარეჯანის გავსებულად და დაუმზრალ ვარდად წარმოჩენით. ამიტომ არის პოემის დასასრულს, როსტეფანის სიტყვით, ნესტან-დარეჯანი „მზინან და დარინან“. როსტეფან მეფე ხომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა და მათ ქმედებათა შემფასებლად გვევლინება. ამგვარად კრავს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტს მცხრალი მთვარის მეტაფორა და გავსებული - მცხრალის ბინარულობა.

სიუჟეტურ-კომპოზიციური თვალსაზრისით საყურადღებოა როსტეფან მეფისათვის აეთანდლილის ნათქვამი ნესტან-დარეჯანის შესახებ, რომ რაც შეიძლება მალე შემოიყვანონ სასახლეში, ენაიდან მისი შემოყვანით „შემომოს შუქთა მისთა, ნათლად გარე მოივანებ“ (1533), ხოლო არაბთა მეფის სასახლეში ტარიელის, ნესტან-დარეჯანის, თინათინისა და ავთანდილის ერთად ყოფნა მეტაფორულ-სიმბოლურ-ალეგორიული გააზრებით სამყაროში ახალი ხანის დამკვიდრებას მოასწავებს: „იგი სახლი გაანათლეს, არ ნათელი შეადამეს“ (1540).

ამგვარად, რუსთაველის მეტაფორული აზროვნების საფუძველთა საფუძველი სამყაროში განფენილი მშვენიერებაა, რომლის ერთი კონკრეტული გამოვლინებაა „ვეფხისტყაოსნური“ მეტაფორა „მთვარესა მცხრალსა“ და, საზოგადოდ მთვარის გავსება-მცხრალობა. ესთეტიკური იდეალი ცვალებ-

ბაღია, განვითარებადია, რაც საოცარი მოხდენილი მეტაფორით („რა ვარდმან მისი ყვავილი...“) გამოხატა შოთა რუსთაველმა. იგი სამყაროში არსებული ყოველი საგნის მშვენიერებას, სილამაზეს აღამიანს, მის მშვენიერება-სილამაზეს უკავშირებს. სამყაროში ყოველი საგანი ნებისმიერ დროს ცვალებადობის პროცესშია, დინამიკაშია, რაც მისი ესთეტიკური აღქმის საფუძველს ბადებს. ისიც კი, რომ რუსთაველურ სამყაროში არსებობს ქაჯეთი, ქაჯეთის ციხე და არსებობენ ქაჯეები, რომელთა შესახებ ვეამცნობს, რომ ისინიც „კაცნია, ჩვენებრე ზორციელანი“ (1249), რუსთაველის აზროვნების მასშტაბურობას მოწმობს, ვინაიდან ისინიც, რუსთაველის ესთეტიკურ თვალთახედვაში მოქცეულნი, მისსავე მსოფლმხედველობაში იჭერენ გარკვეულ ადგილს.

რუსთაველური კონცეფცია მთვარის ფაზების ასახვისა, კერძოდ მისი სისავსე-მცხრალობა ერთ-ერთი მთავარი ღერძი აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციაში, ვინაიდან მცხრალი (ბოლო მეოთხედის) მთვარე უნდა დაექვემდებაროს ცვალებადობის კანონზომიერებას და შეიცვალოს შეიდი დღის ან საესე მთვარით. ეს მეტაფორა მთლიანად მსჭვალავს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტსა და კომპოზიციას, კრავს მას და პოემის დასაწყისში სიუჟეტური აუცილებლობით წარმოდგენილი „მთვარესა მცხრალსა“ პოემის დასასრულს მთვარის სისავსითა და ნათლის დამკვიდრებით მთვარდება, რაც პოემის შინაარსისა და მიზანდასახულობის პარმონიულობას ადასტურებს, რაც რწმენით, სასოე-ბითა და სიყვარულით აღავსებს მკითხველს, ვინაიდან „ჭირი მოთმინებასა შეიქმს, ზოლო მოთმინება - გამოცდილებასა, გამოცდილებად - სასოებასა“ (პრომ. 5,3).

„მთვარესა მცხრალსა“, „მთვარე დღისა შეიდი“ „გავსებული მთვარე“ დროსივრცული მხატვ-რული ფუნქციით აღჭურვილი მეტაფორებია, რომლებიც ბუნების დიალექტიკურ კანონებს გამოხატავენ, დროთა კავშირის სიმტკიცესა და აუცილებლობას, თაობათა ცვლის კანონზომიერებას წარმოაჩენენ.

დამოწმებული ლიტერატურა: 1. ბერიძე ვუკოლ, ვეფხისტყაოსნის კომენტარი, თბ., 1974. 2. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი ლექსიკონი, გამოსაცემად მოამზადა იზოლდა წაქაძემ, თბ., 1976. 3. კეკელიძე კორნელი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958. 4. ნადირაძე გიორგი, რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958. 5. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966. 6. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ჩუბინაშვილის გამოც., სანქტ-პეტერბურგი, 1860. 7. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ლექსიკონი დაუროთ აკაკი შანიძემ, თბ., 1957. 8. სარჯველაძე ზურაბ, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995. 9. ჩუბინაშვილი დავით, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984. 10. ჭავჭავაძე ილია, თხზულებანი ოც ტომად, V, ტომის რედაქტორი გიორგი აბაშიძე, თბ., 1991. 11. ჯავახიშვილი ივანე, ქართველი ერის ისტორია, I, თხზ. 12 ტომად, I, თბ., 1979. 12. Аристотель, Об искусстве поэзии, греческий текст с переводом и объяснениями Вл. Аппельрота, М., 1893. 12. Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, подстрочный перевод с груз. С. Иорданишвили, Тб., 1966.

Nestan Sulava

One Metaphor in “Vepkhistkaosani” (“The Knight in the Panther’s Skin”)

Representation of the moon phases in “Vepkhistkaosani” (“The Knight in the Panther’s Skin”)—particularly one-fourth and the full moon— seems to be one of the most important components from the viewpoint of plot and composition, as the moon in a quarter phase undergoes the regularity and changes into the full moon. This metaphor is spread throughout the plot and composition of the poem and unites it and its two generations of the characters—old (a quarter moon) and new (full moon). This metaphor represents the means which conveys the time and space artistic function.